შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის

2023 წლის შესრულების ანგარიში

თბილისი
2024

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

მისამართი: თბილისი, 0114, ინგოროყვას ქ. № 7

ტელეფონი: (+995 32) 2 92 32 99; (+995 32) 2 92 26 32

ვებ-გვერდი: www.smr.gov.ge

ელ-ფოსტა: press@smr.gov.ge

სარჩევი

მოკლე მიმოხილვა 4

შესავალი 9

ზოგადი პროგრესი 10

დეტალური პროგრესი თითოეულ ამოცანასთან მიმართებაში 16

გამოწვევები და რეკომენდაციები 38

მოკლე მიმოხილვა

ეთნიკური უმცირესობების მიმართ საქართველოში არსებული სახელმწიფო პოლიტიკა ჩვენს ქვეყანაში წარმოდგენილ ეთნიკურ უმცირესობათა მიმართებაში განიხილება და ორიენტირებულია ყველა მოქალაქის, განურჩევლად მათი ეთნიკური წარმომავლობისა, უფლებების დაცვასა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობების, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში სრულფასოვანი მონაწილეობისთვის სათანადო პირობების შექმნაზე, კონსტიტუციური და მაღალი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

საქართველოს მთავრობის მიერ 2021 წლის 13 ივლისის N 356 დადგენილებით დამტკიცებული ,,2021-2030 წლების სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის" მიზანია ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვისა და თანასწორუფლებიანი საზოგადოების მშენებლობის ხელშეწყობა, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის მიმართულებით გრძელვადიანი და შეუქცევადი პოზიტიური ცვლილებების განხორციელების უზრუნველყოფა და შესაბამისი პოლიტიკის განხორციელება, შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებებით: სახელმწიფო ენა ინტეგრაციის მხარდასაჭერად; ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა; თანასწორობა, სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობა; სოციალური და ეკონომიკური ინტეგრაცია; კულტურათაშორისი დიალოგი.

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების მიზნით შექმნილი შესაბამისი სახელმწიფო სტრატეგიის 2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, რომელიც დაგეგმილი ღონისძიებების გატარებაზე პასუხისმგებელ უწყებათა მიერ არის წარმოდგენილი, განკუთვნილია როგორც სახელმწიფო უწყებების, სამოქალაქო საზოგადოების, საერთაშორისო პარტნიორების, ისე ნებისმიერი დაინტერესებული პირის/ორგანიზაციისათვის.

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ხელმძღვანელობითა და კოორდინაციით და წარმოადგენს 2023 წლის განმავლობაში სამოქმედო გეგმის ფარგლებში შესრულებელი აქტივობების შესახებ ინფორმაციას, ინდიკატორებისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი და პარტნიორი უწყებების მითითებით.

ანგარიში მოიცავს სტრატეგიის ფარგლებში ჩამოყალიბებული 5 პრიორიტეტის, 9 მიზნისა და შესაბამისი 21 ამოცანის აქტივობების შესრულების შესახებ ინფორმაციას და მონაცემებს; სამოქმედო გეგმის მიზნებისა და ამოცანების ფარგლებში განხორციელდა არაერთი მნიშვნელოვანი დამატებითი აქტივობა. აქტივობების შესრულების შესახებ ინფორმაცია კლასიფიცირდება ხუთი კატეგორიის ფარგლებში. კერძოდ:

- **სრულად განხორციელდა** - 116 აქტივობა
- **მიმდინარე - მეტწილად განხორციელდა** - 26 აქტივობა
- **მიმდინარე - ნაწილობრივ განხორციელდა** - 30 აქტივობა
- **შეჩერებულია** - 1 აქტივობა
- **არ დაწყებულა** - 19 აქტივობა.

სტრატეგიული პრიორიტეტი 1. სახელმწიფო ენა ინტეგრაციის მხარდასაჭერად

ეთნიკური უმცირესობების სრულფასოვან მონაწილეობას საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში მნიშნელოვნად განსაზღვრავს სახელმწიფო ენის სათანადო ცოდნა. წლის განმავლობაში პრიორიტეტული იყო განათლების თითოეულ საფეხურზე იმ პროგრამებისა და პროექტების ეფექტიანი განხორციელება, რომელიც მიზნად ისახავდა სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლებას.

სახელმწიფო ენის სწავლების მიმართულებით არსებითად მნიშვნელოვანია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოქალაქეებისათვის ქართული ენის სწავლების დაწყება სკოლამდელი განათლების დონეზე. აღნიშნული მაჩვენებელი გაორმაგებულია და ამ ეტაპზე 34 სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიმდინარეობს ბილინგვური მეთოდით სწავლება. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, მათ შორის არაქართულენოვან სკოლებსა და სექტორებზე (296 სკოლა/სექტორი, 54 544 მოსწავლე) სახელმწიფო ენის სწავლება ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად მიმდინარეობს.

სახელმწიფო ენა, ასევე ისწავლება პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (ე.წ. „1+4 საგანმანათლებლო პროგრამა“). მზარდი დინამიკით ხასიათდება ე.წ. „1+4 პროგრამის“ ბენეფიციართა რაოდენობა. აღნიშნული პროგრამის დაწყებიდან დღემდე სტუდენტების რაოდენობა 5-ჯერ არის გაზრდილი. ზრდასრულებისთვის, სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის შესაბამისი პროგრამებით, ქართული ენის შესწავლა ხელმისაწვდომია ნებისმიერი მსურველისთვის, როგორც ადმინისტრირების სკოლის 12 ცენტრში, ასევე საჯარო ორგანიზაციებში, სავალდებულო სამხედრო სამსახურში, რელიგიურ დაწესებულებებში, პენიტენციურ სისტემაში. დაინტერესებულ პირებს საშუალება აქვთ სახელმწიფო ენა შეისწავლონ საცხოვრებელ ადგილზეც, მობილური ჯგუფების საშუალებით თუ დისტანციური სწავლების ფორმით.

საანგარიშო პერიოდში სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის შესაბამისი პროგრამით 2023 წელს 5500-ზე მეტმა ზრდასრულმა პირმა გაიუმჯობესა ქართული ენის კომპეტენცია. მნიშვნელოვანია, რომ ზრდასრულთა და არაფორმალურ განათლებაში სახელმწიფო ენის ცოდნის გაძლიერების მიზნით 2019 წლიდან 2023 წლის ჩათვლით სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში გადამზადდა ეთნიკური უმცირესობის 20 000-ზე მეტი წარმომადგენელი.

სტრატეგიული პრიორიტეტი 2. ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა

სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესების წარმატებას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს განათლების დონე. საქართველოში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომია განათლების ყველა საფეხური - სკოლამდელი, სასკოლო, პროფესიული და უმაღლესი განათლება, შექმნილია უნიკალური და გამარტივებული გზა უმაღლესი და პროფესიული განათლების მისაღებად.

ეთნიკური უმცირესობების მშობლიურ ენაზე განათლების უფლება, როგორც სკოლამდელ დაწესებულებებში, ასევე მოქმედ 296 არაქართულენოვან სკოლასა და სექტორზე ცოდნის გაღრმავების ერთ-ერთი სტრატეგიული პრიორიტეტია. ამავდროულად, სახელმწიფო დაფინანსებით მიმდინარეობს მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფების ენების - ოსური, ასურული, ჩეჩნური, უდიური, ხუნძური - სწავლება, რაც უკვე დანერგილ სხვა მრავალ მიდგომასთან ერთად, საერთაშორისო შეფასებებში აღიარებულია, როგორც ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვის ერთ-ერთი უნიკალური მექანიზმი.

სკოლამდელი და ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის და სასწავლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის რეგიონებში 2023 წელს დასრულებული და მიმდინარე პროექტების ფარგლებში, განხორციელდა 20 სკოლისა და 21 საბავშვო ბაღის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები; ამავდროულად, დასრულდა 6 სკოლის და 4 საბავშვო ბაღის პროექტირება და იწყება სამშენებლო სამუშაოები.

პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობა არაქართულენოვანი ახალგაზრდებისთვის სტაბილურად ხელმისაწვდომია. 2023 წელს პროფესიულ სასწავლებლებში ჩაირიცხა 289 ახალგაზრდა, ამასთან, ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთის და კახეთის რეგიონების 49 საჯარო სკოლის ბაზაზე მოქმედებს „პროფესიული უნარების განვითარების პროგრამები“, რაც ახალგაზრდებისთვის საცხოვრებელ ადგილზე პროფესიული განათლების მიღება/გადამზადების დამატებითი, უნიკალური შესაძლებლობაა.

უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით მოქმედ „1+4 საგანმანათლებლო პროგრამაში“, 2023 წელს 1549 სტუდენტი ჩაერთო (იხ. დიაგრამა 1). მიმდინარე საჭიროებებთან შესაბამისობაში უკეთ მოყვანის მიზნით მიმდინარეობს პროგრამის განვითარებაზე მუშაობა.

ქართული ენის სწავლების ხარისხის გაუმჯობესების და მაღალკვალიფიციური კადრების არსებული დეფიციტის დაძლევის მიზნით, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ მუნიციპალიტეტებში მივლინებულ იქნა 146 ქართული ენის კონსულტანტ-მასწავლებელი. პედაგოგიური უნარების შემდგომი სრულყოფის და თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ადგილობრივი და ორენოვანი დამხმარე მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე ორიენტირებული პროფესიული გადამზადება გაიარა სხვადასხვა საგნის 2468 მასწავლებელმა, მათ შორის ქართულის, როგორც მეორე ენის 306 მასწავლებელმა.

დიაგრამა 1. „1+4 საგანმანათლებლო პროგრამის“ სტუდენტების რაოდენობა წლების მიხედვით



სტრატეგიული პრიორიტეტი 3. თანასწორობა, სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობა

თანასწორობის, სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობის სტრატეგიული პრიორიტეტის ფარგლებში, ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჩართულობის გასაძლიერებლად გადაგმული ნაბიჯები მაღალ სტანდარტებზეა ორიენტირებული და პასუხობს მიმდინარე საჭიროებებს, მათ შორის, თანაბარი საარჩევნო გარემოს განვითარებისა და არსებული საკონსულტაციო მექანიზმების გაძლიერების თვალსაზრისით.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის აქტიური და პასიური საარჩევნო უფლების ეფექტიანი რეალიზების ხელშეწყობის მიზნით, ცესკოს მიერ მომზადდა საინფორმაციო ვიდეორგოლები სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე კენჭისყრის დღის პროცედურებისა და ამომრჩევლისთვის შეთავაზებული სერვისების შესახებ. ასევე, ითარგმნა და გავრცელდა საარჩევნო დოკუმენტაცია და სხვა საინფორმაციო მასალები, მათ შორის, საარჩევნო კომისიის წევრებისთვის. საარჩევნო ადმინისტრაციამ განახორციელა ინფორმირების კამპანია „ვესაუბრებით ამომრჩევლებს“; ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ მუნიციპალიტეტებში გაგრძელდა საგანმანათლებლო პროგრამა „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი “.

ამავდროულად, გაგრძელდა ე.წ. „1+4 სტაჟირების პროგრამა“, რომელიც ფუნქციონირებს 2017 წლიდან. დღემდე პროგრამაში 400 - მდე ბენეფიციარმა მიიღო მონაწილეობა. პროგრამა უწყვეტად გრძელდება და ამჟამად მისი განვითარების პროცესი მიმდინარეობს.

მედიასა და ინფორმაციაზე წვდომის გაუმჯობესების მიზნით გაგრძელდა საინფორმაციო გადაცემა „მოამბის“ ტრანსლირება სომხური და აზერბაიჯანული ენის მატარებელი ხმოვანი ბილიკების თანხლებით. ასევე, ფუნქციონირებას განაგრძობდა შვიდენოვანი ვებ-პორტალი - www.1tv.ge.
სახელმწიფოს დაფინანსებით გაგრძელდა არაქართულენოვანი ბეჭდვითი მედიის ფუნქციონირება, კერძოდ, რეგულარულად, ყოველკვირეულად გამოიცემოდა სომხურენოვანი გაზეთი „ვრასტანი“ (51 ნომერი, ტირაჟი 3500-მდე) და აზერბაიჯანულენოვანი გაზეთი „გურჯისტანი“ (50 ნომერი; ტირაჟი 2700-მდე). გაზეთები გავრცელდა, როგორც თბილისში, ისე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში, პენიტენციურ დაწესებულებებში.

სტრატეგიული პრიორიტეტი 4 . სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაცია

ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის რეგიონების ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ მუნიციპალიტეტებში გაგრძელდა მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები შიდა გზების, საირიგაციო და სასმელი წყლის სისტემების, გარეგანათების რეაბილიტაციის, სკვერებისა და გასართობი სივრცეების მოწყობის და სხვა მიმართულებებით.
კერძოდ, 2023 წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში სამცხე-ჯავახეთის რეგიონში დასრულდა/მიმდინარეობს 75 მლნ. ლარის, ქვემო ქართლში - 350 მლნ. ლარის, ხოლო კახეთში - 65 მლნ. ლარის ღირებულების ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება.
სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ამოცანების შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების მოსახლეობის ინფორმირებას სხვადასხვა აქტუალურ საკითხთან მიმართებაში. სახელმწიფო პროგრამებზე, მომსახურებებსა და უფასო იურიდიულ დახმარებაზე წვდომის ხელშესაწყობად, სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით წარიმართა ფართომასშტაბიანი ორენოვანი საინფორმაციო/ცნობიერების ამაღლების კამპანია განათლების, სოფლის მეურნეობის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ეკონომიკური შესაძლებლობების, ასევე იურიდიული დახმარების საკითხებთან დაკავშირებით ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ 120-მდე სოფლის მოსახლეობისთვის (5000-მდე ბენეფიციარი).
ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ საექსტენციო და საკონსულტაციო მომსახურეობა გაეწია 4 375 ფიზიკურ და იურიდიულ პირს, სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონებში, ასევე ჩატარებულია 286 შეხვედრა.

სტრატეგიული პრიორიტეტი 5. კულტურათაშორისი დიალოგი

ნებისმიერი ეთნოსის იდენტობისა და თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად უაღრესად მნიშვნელოვანი სეგმენტია მათი კულტურის შენარჩუნება და განვითარება, ტრადიციული ღირებულებების წარმოჩენა და პოპულარიზაცია. საანგარიშო წელიწადში ყურადღება დაეთმო მულტიკულტურული ღონისძიებების ჩატარებასა და ეთნოკულტურათა შორის დიალოგს, მრავალფეროვანი ურთიერთობების გაძლიერებას.

მნიშვნელოვანი იყო ეთნიკური უმცირესობების წარმომდგენელთა თეატრების სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერა, კერძოდ: თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური დრამატული თეატრი, ჰეიდარ ალიევის სახელობის თბილისის აზერბაიჯანული სახელმწიფო დრამატული თეატრი და გრიბოედოვის სახელობის თბილისის რუსული დრამატული თეატრი – 1.952.000.00 ლარით დაფინანსდა.

მუზეუმების (სსიპ მირზა-ფათალი ახუნდოვის სახელობის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმი; სსიპ სმირნოვების მუზეუმი; სსიპ დავით ბაასოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორიის მუზეუმი) დაფინანსებამ წლის განმავლობაში შეადგინა 272.000.00 ლარი.

შესავალი

ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებაში არსებული სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების მთავარ ინსტრუმენტს წარმოადგენს სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წწ. სახელმწიფო სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა. სტრატეგიული დოკუმენტის მიზანია საქართველოში თანასწორუფლებიანი დემოკრატიული გარემოს შექმნის უზრუნველყოფა, ეთნოსთაშორისი ურთიერთობების გაძლიერება, სახელმწიფო ენის მაღალ დონეზე ფლობის ხელმისაწვდომობის მექანიზმების შემუშავება, მათი კულტურული ფასეულობებისა და იდენტობის დაცვა, მომავალი თაობების მოტივაციისა და მათი საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობის დონის ამაღლება, თანასწორობის პრინციპების სრულფასოვანი რეალიზება, რათა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებმა შეძლონ საკუთარი წვლილი შეიტანონ ქვეყნის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებასა და დემოკრატიული განვითარების პროცესში.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი კოორდინაციას უწევს სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის

შემუშავებას, განხორციელებასა და ანგარიშგებას. ამავდროულად, ხელმძღვანელობს საქართველოს მთავრობის 2020 წლის N122 დადგენილებით შექმნილ, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სამთავრობო კომისიას.

წინამდებარე დოკუმენტი წამოადგენს სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წწ. სახელმწიფო სტრატეგიის, 2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების წლიურ ანგარიშს (იანვარი-დეკემბერი). ანგარიშის მიზანია ამოცანების განხორციელების დონის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შესაბამისად. წლიური ანგარიში მომზადდა სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ, საქართველოს მთვარობის N629 დადგენილებით დამტკიცებული „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის“ შესაბამისად, სტრატეგიის განმახორციელებელი უწყებებისაგან მოწოდებული სტატუსანგარიშების საფუძველზე (იხ. დანართი1).

ზოგადი პროგრესი

სტრატეგიის ფარგლებში განსაზღვრული 9 მიზნისა და 21 ამოცანის შესაბამისად, 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმაში დაგეგმილი იყო 192 აქტივობის განხორციელება, რომელთა შესრულების მაჩვენებელი შეადგენს 60,4%.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 116 აქტივობა, რომელთა წილი მთელი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების საერთო რაოდენობის 60,4%-ს შეადგენს. დაგეგმილი აქტივობების გარკვეული რაოდენობა შესრულდა მეტწილად ან ნაწილობრივ, რიგი აქტივობები კი - არ დაწყებულა.

აქტივობების შესრულების სტატუსის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დიაგრამაში №2.

დიაგრამა № 2. აქტივობების შესრულების სტატუსი და რაოდენობა



ამოცანების შესრულების დონე, ამოცანების შედეგების საბაზისო და სამიზნე ინდიკატორები და მიღწეული პროგრესის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია 2023 წლის კონსოლიდირებული სტატუსანგარიშის დოკუმენტში (იხ. დანართი 1). ამავე დოკუმენტში მოცემულია ინფორმაცია აქტივობების შესრულების სტატუსის შესახებ და მათი მოკლე აღწერილობა.

დიაგრამა №3-ით წარმოდგენილია სტრატეგიული მიზნების მიხედვით ამოცანების შესრულების დონე, რომელიც გაანგარიშებულია კონსოლიდირებულ სტატუსანგარიშში მოცემული აქტივობების შესაბამისი პროგრესის საფუძველზე.

დიაგრამა № 3. მიზნების მიხედვით ამოცანების პროგრესის საშუალო პროცენტული მაჩვენებლები დაგეგმილი აქტივობების შესაბამისად



სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული 192 აქტივობის შესრულებაზე პასუხისმგებელია 21 უწყება[1], მათ შორის ერთ აქტივობაზე - გაზეთ ,,გურჯისტანისა“ და ,,ვრასტანის“ რედაქციები, კერძოდ:

- ❖ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი პასუხისმგებელია 18 აქტივობაზე;
- ❖ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო - 40 აქტივობაზე;
- ❖ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო - 13 აქტივობაზე;
- ❖ საქართველოს ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტრო - 5 აქტივობაზე;
- ❖ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო - 7 აქტივობაზე;
- ❖ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო - 2 აქტივობაზე;
- ❖ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო) - 4 აქტივობაზე;
- ❖ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო) - 4 აქტივობაზე;
- ❖ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო - 4 აქტივობაზე;

[1] შენიშვნა: სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის მუნიციპალიტეტების მერიების მიერ აქტივობებზე აღებული ვალდებულებები წარმოდგენილია რეგიონულ ჭრილში, კონსოლიდირებულად. იმ შემთხვევაში თუ აქტივობებს დავითვლით პასუხისმგებელი უწყების მიხედვით, ჯამში გამოდის 142 აქტივობა.

- საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო - 9 აქტივობაზე;
- საქართველოს თავდაცვის სამინისტრო - 2 აქტივობაზე;
- საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა - 1 აქტივობაზე;
- სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების მერიები - 4 აქტივობაზე;
- სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ადმინისტრაცია - 4 აქტივობაზე;
- ქვემო ქართლის რეგიონის მუნიციპალიტეტის მერიები - 54 აქტივობაზე;
- კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტის მერიები - 8 აქტივობაზე;
- კახეთის სამხარეო ადმინისტრაცია - 2 აქტივობაზე
- სსიპ სახელმწიფო ენის დეპარტამენტი - 1 აქტივობაზე;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია - 5 აქტივობაზე;
- ცენტრალური საარჩევნო კომისია - 6 აქტივობაზე;
- გაზეთების: „ვრასტანი" და "გურჯისტანი" რედაქციები - 1 აქტივობაზე.

სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესრულებაში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს, როგორც სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელ და მაკოორდინირებელ ორგანოს.

დიაგრამა 4. აქტივობების განხორციელების დონე მათი სტატუსების მიხედვით ამოცანების ჭრილში



აქტივობების განხორციელების დონე მათი სტატუსების მიხედვით ამოცანების ჭრილში წარმოდგენილია დიაგრამა №4-ში, ხოლო უწყებების მიერ აქტივობების შესრულების სტატუსი წარმოდგენილია დიაგრამაში №5, აქტივობების შესრულების საშუალო მაჩვენებელი კი, დიაგრამა №6-ში.

დიაგარამა №5. აქტივობების შესრულების სტატუსები მათ განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყებების მიხედვით


100%
90%
80%
70%
60%
50%
40%
30%
20%
10%
0%
განათლება
შერიგება
იუსტიცია
შსს
საგარეო
ჯანდაცვა
თავდაცვა
ეკონომიკა
გარემ. დაც. და სოფ. მეურნეობა
რეგ. გან. და ინფრასტრუქტურა
კულტურა და სპორტი
ქ.ბათუმის მერია
სსიპ სახელმწიფო ენის დეპარტამენტი
ქვემო ქართლის რეგიონის...
საქართველოს პარლამენტის ეროვნული...
სამცხე-ჯავახეთის საშინაო ადმინისტრაცია
სამცხე-ჯავახეთის რეგიონის...
კახეთის საშინაო ადმინისტრაცია
 კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების...
ცესკო
გაზეთები
განხორციელდა
მიმდინარე-მეტწილად განხორციელდა
მიმდინარე-ნაწილობრივ განხორციელდა
არ დაწყებულა
შეჩერებულია

დიაგრამა № 6. უწყებების აქტივობების პროგრესის საშუალო მაჩვენებლები



დეტალური პროგრესი თითოეულ ამოცანასთან მიმართებაში

ამოცანა 1.1 სახელმწიფო ენის სწავლების გაძლიერება და პოპულარიზაცია ფორმალურ განათლებაში (სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლება)

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის მიზნების მისაღწევად, პირველი რიგის და ყველაზე მნიშვნელოვან პრიორიტეტად განიხილება სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლება ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში. პირველი სტრატეგიული პრიორიტეტის - „სახელმწიფო ენა ინტეგრაციისთვის“ ფარგლებში ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო ენის პოპულარიზაციისა და ცოდნის დონის ამაღლების მიზნით, სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესაბამისად, 2023 წელს წარმატებით გაგრძელდა სახელმწიფო ენის სწავლების, ასევე, ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაზე მიმართული კომპლექსური

ძალისხმევა, როგორც ფორმალური განათლების თითოეულ საფეხურზე, ასევე ზრდასრულთა განათლების მიმართულებებით.

აღსანიშნავია, რომ შეიქმნა ენის სწავლების ერთიანი, უწყვეტი ჯაჭვი, რომელიც ითვალისწინებს ენის კომპლექსურ სწავლებას სკოლამდელ და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, ასევე პროფესიული და უმაღლესი განათლების დონეზე და ზრდასრულთათვის. სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში შექმნილი ახალი შესაძლებლობების შედეგად, ყოველწლიურად მატულობს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მხრიდან ქართული ენის მაღალ დონეზე ცოდნის სურვილი.

მნიშვნელოვნად გაიზარდა სახელმწიფო ენის შესწავლის შესაძლებლობები სკოლამდელი და სასკოლო განათლების დონეზე: ეტაპობრივად გაფართოვდა ორენოვანი განათლების მოდელის გეოგრაფიული არეალი 2023 წლის სექტემბრიდან, და ამჟამად, ბილინგვური მეთოდით სწავლება მიმდინარეობს 36 არაქართულენოვან საბავშვო ბაღში და 170-მდე სკოლაში ხორციელდება, რაც ეტაპობრივად, და 2024 წლის ბოლომდე, ყველა არაქართულენოვან ბაღსა და სკოლაში დაინერგება. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, მათ შორის არაქართულენოვან სკოლებსა და სექტორებზე (296 სკოლა/სექტორი, 54 544 მოსწავლე), სახელმწიფო ენის სწავლება ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად მიმდინარეობს. სახელმწიფო ენა ასევე ისწავლება პროფესიულ სასწავლებლებში სახელმწიფო ენის მოდულის სახით და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ე.წ. „1+4 საგანმანათლებლო პროგრამა".
2023 წელს 1549 სტუდენტი ჩაერთო უმაღლესი განათლების სპეციალურ პროგრამაში - „1+4 ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა".

ზრდასრულებისთვის ქართული ენის შესწავლა ხელმისაწვდომია ნებისმიერი მსურველისთვის სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის შესაბამისი პროგრამებით, როგორც სკოლის 12 ცენტრში, საჯარო ორგანიზაციებში, სამხედრო სამსახურში, რელიგიურ დაწესებულებებში, ასევე საცხოვრებელ ადგილზე მასწავლებლების მობილური ჯგუფების საშუალებით, თუ დისტანციური სწავლების შესაძლებლობების გამოყენებით. სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის შესაბამისი პროგრამით 2023 წელს 5500-მდე ზრდასრულმა პირმა გაიუმჯობესა ქართული ენის კომპეტენცია. ზრდასრულთა და არაფორმალურ განათლებაში სახელმწიფო ენის ცოდნის გაძლიერების მიზნით 2019 წლიდან 2023 წლის ჩათვლით სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში გადამზადდა ეთნიკური უმცირესობის 20 000-ზე მეტი წარმომადგენელი.
მასწავლებელთა და საჯარო სექტორში დასაქმებულთა, მათ შორის მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა, ჩართულობა მნიშვნელოვნად არის გაზრდილი სსიპ ზურაბ ჟვანიას

სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის „სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამის“ ქართული ენის კურსებში. კერძოდ, პროგრამის კურსების ფარგლებში გადამზადდა სხვადასხვა საგნის 1451 მასწავლებელი; ხოლო სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის კოორდინაციით, სახელმწიფო ენის კურსში ა1, ა2 და ბ1 დონეზე გადამზადდა 644 მასწავლებელი. რაც შეეხება მუნიციპალიტეტის თანამშრომლებს, 2023 წელს „სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამის“ ფარგლებში გადამზადდა 198 საჯარო მოსამსახურე; საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების პროგრამის ფარგლებში გადამზადებულია 41 საჯარო მოსამსახურე ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული მუნიციპალიტეტებიდან.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ კვლავ გრძელდება მასწავლებლების გაგზავნა ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების არაქართულენოვან სკოლებში კვალიფიციური კადრების დეფიციტის შევსების მიზნით.

ეთნიკური უმცირესობებისათვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის პროგრამების შემდგომი განვითარების მიზნითა და ბოლო წლებში ახალგაზრდების მხრიდან გამოვლენილი გაზრდილი ინტერესის შესაბამისად, რეალურ და მრავალმხრივ საჭიროებებთან ადაპტაციის და ეფექტიანობის შემდგომი გაზრდის მიზნით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაიწყო აღნიშნული პროგრამის სამომავლო ფუნქციონირების ფორმატზე მუშაობა, როგორც მეთოდოლოგიური, ისე ორგანიზაციული და ფინანსური კუთხით. გარდა ამისა, სკოლამდელი აღზრდისა და ზოგადი განათლების დაწესებულებებში ბილინგვური სწავლების დანერგვა მიიღებს მასშტაბურ სახეს და მოიცავს თბილისისა და ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების სკოლებს.
ქართული ენის პოპულარიზაციისა და არაქართულენოვან მოსახლეობაში ენის შესწავლის მოტივაციის გაზრდის მიზნით გაგრძელდება სახელმწიფო ენის ცოდნის მნიშვნელობის თაობაზე ცნობიერების ამაღლების კამპანიები და ენის შესწავლის შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის გავრცელება.

აღნიშნული ამოცანით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესში ფინანსური რესურსის ნაკლებობა არ დამდგარა.

ამოცანა 1.2. სახელმწიფო ენის ცოდნის გაძლიერება ზრდასრულებსა და არაფორმალურ განათლებაში

აღნიშნული **ამოცანის ინდიკატორთან** მიმართებაში შეინიშნება პროგრესი სახელმწიფო ენის სწავლებაში ჩართული ბენეფიციარების რაოდენობის ზრდის თვალსაზრისით (2020 წ. - 2059 მსმენელი; 2021 წ. - 3919 მსმენელი; 2022 წ. – 5123 მსმენელი; 2023 წ- 5500 მსმენელი). 2019 წლიდან მოყოლებული 2023 წლის ჩათვლით მათი რიცხვი შეადგენს 20 000-ზე მეტ ბენეფიციარს. მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას, სახელმწიფო ენის შესწავლის კუთხით წლის

განმავლობაში ბენეფიციართა სეგმენტის გაფართოებასა და საკითხით დაინტერესებული ნებისმიერი მოქალაქისთვის ამ კუთხით ფართო შესაძლებლობების შექმნას. შედეგად, მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში, როგორც ზემოთ აღინიშნა, 5500-ზე მეტმა ზრდასრულმა პირმა გაიუმჯობესა ქართული ენის კომპეტენცია.
აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში გადამზადდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული "მეგობრობის სახლის" 253 ბენეფიციარი.

ზრდასრულებისთვის არაფორმალურ განათლებაში სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლების მიზნით დაგეგმილია შესაბამისი აქტივობების განხორციელება, რომლებიც ხელს შეუწყობს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ზრდასრულ მოსახლეობას შეისწავლონ სახელმწიფო ენა. აღნიშნულ პროგრამებს მოსახლეობას სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა სთავაზობს, როგორც საკლასო, ისე დისტანციური და ჰიბრიდული პროგრამების ფარგლებში, არსებულ სასწავლო ცენტრებისა და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით პედაგოგების მობილური ჯგუფების მივლინების საშუალებით.

ამოცანა 2.1. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო ენის პოპულარიზაცია, ფუნქციონირების მხარდაჭერა და გამოყენების ზედამხედველობა

პირველ ინდიკატორთან მიმართებაში შეინიშნება პროგრესი, კერძოდ სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში 2023 წელს გადამზადდა 198 საჯარო სექტორში დასაქმებული პირი.

ამავე ინდიკატორტან მიმართებაში ასევე აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით ინტენსიურად მიმდინარეობს ფართომასშტაბიანი, კომპლექსური, მრავალკომპონენტიანი კამპანია სახელწოდებით - „ქართული ენა გვაერთიანებს, რომლის ფარგლებში, მომზადდა ვიდეორგოლები, როგორც სატელევიზიო, ასევე ციფრული ფორმატებისთვის და მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებით გავრცელდა; სამიზნე სეგმენტის ყურადღების მობილიზების მიზნით, თბილისსა და ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში განთავსდა თემატური ბილბორდები, ბანერები და პოსტერები; ადგილობრივ ტელევიზიებში განთავსდა ორენოვანი ვიდეორგოლები; მოსახლეობაში ვრცელდება საინფორმაციო ბროშურები, როგორც ქართულ, ასევე სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

ასევე, კახეთისა და სამცხე - ჯავახეთის ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ სოფლებში წარიმართა ფართომასშტაბიანი ორენოვანი საინფორმაციო/ცნობიერების

ამაღლების კამპანია სხვადასხვა საკითხების, მათ შორის სახელმწიფო ენის შესწავლისა და განათლების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. შეხვედრებში ჩართული იყო 2 500-მდე ბენეფიციარი; სულ ჩატარდა 20-მდე შეხვედრა.

მეორე ინდიკატორთან მიმართებით აღსანიშნავია, სსიპ სახელმწიფო ენის დეპარტამენტი გარე წარწერების სახელმწიფო ენაზე განთავსების მიმართულებით მონიტორინგს ახორციელებს და გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ მუნიციპალიტეტებში.

2023 წელს სახელმწიფო ენის დეპარტამენტმა სპეციალური მონიტორინგი განახორციელა ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში გარე წარწერების კვლევის მიზნით. დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ შესწავლილი იქნა მარნეულის, ახალქალაქის, ახალციხის, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში არსებული გარე წარწერები. მიღებული შედეგების მიხედვით მომზადებულია კვლევითი დოკუმენტი, რომელიც გამოქვეყნდა სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ვებგვერდზე. კერძოდ, სამცხე-ჯავახეთის რეგიონსა და მარნეულის მუნიციპალიტეტში ჩატარებული კვლევის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ბილბორდებზე, წარწერებზე და დასახელებებზე სახელმწიფო ენა კანონმდებლობით გათვალისწინებული წესებით გამოიყენება დაფიქსირებულ წარწერათა საერთო რაოდენობის საშუალოდ 85%-ში.

აღნიშნული მიმართულებით საქმიანობა გაგრძელდება შესაბამისი პასუხისმგებელი უწყებების ჩართულობით. კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში განხორციელდება არაერთი მნიშვნელოვანი აქტივობა. დაგეგმილია ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების მუნიციპალიტეტების საჯარო მოხელეებისთვის და საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებული პირებისთვის სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამების განხორციელება. ასევე, სახელმწიფო ენის ცოდნის მნიშვნელობაზე, სახელმწიფო ენაში მომზადებისა და ინტეგრაციის პროგრამებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით დაგეგმილია საინფორმაციო-საკონსულტაციო კამპანიის განხორციელება.

ამოცანა 3.1. სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და ხარისხის უზრუნველყოფა

ამოცანის პირველ ინდიკატორთან მიმართებით აღსანიშნავია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2024 წლისთვის დაგეგმილი აქვს მონაცემების განახლება/გაზომვა.

ამოცანის **მეორე ინდიკატორთან** მიმართებით, აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტი ახორციელებდა სახელმწიფო სტანდარტების დანერგვას ბილინგვური განათლების მიდგომის გამოყენებით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში. 2023-2024 სასწავლო წლისთვის პროგრამაში ჩართულია 34 სკოლამდელი დაწესებულება. 2023 წელს, ბილინგვური საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის შემუშავებულ რესურსებზე დაყრდნობით გადამზადდა 83 დამხმარე მასწავლებელი. აღნიშნული რესურსები კი დაიბეჭდა და დარიგდა საბავშვო ბაღებში.

ბილინგვური განათლების დანერგვის პროცესში გამოწვევაა მაღალკვალიფიციური ორენოვანი პროფესიული რესურსების ნაკლებობა.

ამოცანა 3.2. ხარისხიანი ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

ამოცანის პირველ ინდიკატორთან მიმართებაში, აღსანიშნავია, რომ 2023-2024 სასწავლო წლისთვის არაქართულენოვან სკოლებში/სექტორებზე ეროვნული სასწავლო გეგმის ბილინგვური მიდგომით დანერგვის პროგრამაში ჩართულია 184 საჯარო სკოლა.

მეორე ინდიკატორთან მიმართებაში მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ქართული ენის სწავლების გაუმჯობესების მიზნით გადამზადდა არაქართულენოვანი სკოლების ქართულის, როგორც მეორე ენის 306 მასწავლებელი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულია 14 საჯარო სკოლა, სადაც სასკოლო თემის მოთხოვნის საფუძველზე მიმდინარეობს მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობებისთვის მშობლიური ენების სწავლება. უდიური, ხუნძური, ჩეჩნური, ოსური, ასურული ენები მოთხოვნისამებრ, ისწავლება შესაბამის საჯარო სკოლებში.

სამომავლოდ განხორციელდება სპეციალური სახელმწიფო პროგრამები, რომლებიც ითვალისწინებს რეგიონებში ახალგაზრდა, პროფესიონალი და მაღალი მოტივაციის მქონე კადრების წარგზავნას.

ამოცანა 3.3. ეთნიკური უმცირესობების მხარდაჭერა პროფესიული და უმაღლესი განათლების მისაღებად

ამოცანის ინდიკატორი - ეთნიკური უმცირესობების პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მნიშვნელოვან მოტივაციას ქმნის სახელმწიფო ენის

სწავლების ინტეგრირებული კურსი, რომელშიც 2023 წელს 289 სტუდენტი ჩაერთო და დაიწყო ქართული ენის შესწავლა სასურველი პროფესიის ათვისების მიზნით.

ადგილზე, საცხოვრებელ ადგილთან ახლოს პროფესიული განათლების მიღების დამატებითი, უნიკალური შესაძლებლობა შექმნა სკოლის ბაზაზე „პროფესიული უნარების განვითარების პროგრამების“ ამოქმედებამ. 49 არაქართულენოვანი სკოლის ბაზაზე მე-8-12-ე კლასის მოსწავლეებისთვის შექმნილია შესაძლებლობა, რომ სხვადასხვა პროფესიაში მოსინჯონ საკუთარი ძალები და გააზრებული და ინფორმირებული კარიერული გადაწყვეტილება მიიღონ პროფესიის არჩევის დროს. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის, ასევე ადგილზე ხელმისაწვდომია მოკლევადიანი პროფესიული მომზადება-გადამზადების კურსები.

რაც შეეხება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობას, 2023 წელს 1549 სტუდენტი ჩაერთო „1+4 ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაში“. ბოლო წლებში ახალგაზრდების მხრიდან გამოვლენილი გაზრდილი ინტერესის შესაბამისად, რეალურ და მრავალმხრივ საჭიროებებთან ადაპტაციის და ეფექტიანობის შემდგომი გაზრდის მიზნით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაიწყო აღნიშნული პროგრამის სამომავლო ფუნქციონირების ფორმატზე მუშაობა, როგორც მეთოდოლოგიური, ისე ორგანიზაციული და ფინანსური კუთხით. საგანმანათლებლო კვლევების ეროვნული ცენტრის მიერ მიმდინარეობს 2024 წელს დაგეგმილი „1+4 ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის“ შედეგების შეფასებისთვის, მეთოდოლოგიის შემუშავება და კვლევის ინსტრუმენტების მომზადება.

საქართველოს ეთნიკურად და კულტურულად მრავალფეროვან საზოგადოებაში სახელმწიფო ენის ცოდნის ამაღლების მნიშვნელობის გაცნობიერების, არსებულ მრავალფეროვან შესაძლებლობებზე ინფორმირებისა და შესწავლის მოტივაციის გაზრდის მიზნით, სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით ინტენსიურად მიმდინარეობდა ფართომასშტაბიანი, კომპლექსური, მრავალკომპონენტიანი კამპანია სახელწოდებით - „ქართული ენა გვაერთიანებს, რომლის ფარგლებში, მომზადდა ვიდეორგოლები, როგორც სატელევიზიო, ასევე ციფრული ფორმატებისთვის და მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებით გავრცელდა; სამიზნე სეგმენტის ყურადღების მობილიზების მიზნით, თბილისსა და ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში განთავსდა თემატური ბილბორდები, ბანერები და პოსტერები; ადგილობრივ ტელევიზიებში განთავსდა ორენოვანი ვიდეორგოლები; მოსახლეობაში გავრცელდა საინფორმაციო ბროშურები, როგორც ქართულ, ასევე სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. ქვემო ქართლის, კახეთისა და სამცხე - ჯავახეთის ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ სოფლებში წარიმართა ფართომასშტაბიანი ორენოვანი საინფორმაციო/ცნობიერების ამაღლების კამპანია სხვადასხვა საკითხების, მათ შორის სახელმწიფო ენის შესწავლისა და განათლების შესაძლებლობებთან

დაკავშირებით. შეხვედრებში ჩართული იყო 2 500-მდე ბენეფიციარი; სულ ჩატარდა 20-მდე შეხვედრა.

ქვეყნის მასშტაბით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადსაგანმანათლებლო რესურსცენტრებთან კოორდინირებული მუშაობით, ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები 73 არაქართულენოვან (38 აზერბაიჯანულენოვანი და 35 სომხურენოვანი) საჯარო სკოლაში, დისტანციურ რეჟიმში, პლატფორმა Teams-ის გამოყენებით.

პროფესიული და უმაღლესი განათლების მხარდაჭერის მიზნით ხელი შეეწყობა კომპლექსური ღონისძიებების განხორციელებას, კერძოდ ეთნიკური უმცირესობებისათვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის პროგრამების შემდგომი განვითარების მიზნით იგეგმება ე.წ. "1+4 საგანმანათლებლო პროგრამის" შედეგების კვლევის ჩატარება, ასევე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდების ინფორმირების მიზნით გაიმართება საინფორმაციო კამპანიები უმაღლესი და პროფესიული განათლების მიმართულებით არსებული შესაძლებლობების ფართო სპექტრის შესახებ.

აღნიშნული ამოცანით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესში სამოქმედო გეგმით მოსალოდნელი რისკ ფაქტორი არ დამდგარა.

ამოცანა 4.1. განათლების მიღმა დარჩენილი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი პირების (შშმ და ბოშები) საგანმანათლებლო შესაძლებლობების რეალიზების ხელშეწყობა

ამოცანის **პირველ და მეორე ინდიკატორთან** მიმართებაში, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების მონიტორინგის პროგრამის ფარგლებში იდენტიფიცირებულია 290 შშმ ბავშვი. ბოშა მოზარდებისა და ახალგაზრდების სოციალიზაციისთვის განხორციელდა 6 სასკოლო პროექტი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში. ამ ეტაპისთვის ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში ჩართულია 286 ბოშა მოსწავლე.

შშმ და ბოშათა თემის წარმომადგენელი ბავშვების სოციალიზაციის მიზნით ჩატარდება სხვადასხვა ღონისძიება, მათ შორის, განათლების მიღმა დარჩენილი შშმ და ბოშა ბავშვების სავალდებულო ზოგადი განათლების პროგრამებში ჩართვისა და საჭიროებების შესაბამისი დამხმარე სერვისებით უზრუნველყოფის მიზნით.

ამოცანა 4.2 სამოქალაქო თანასწორობის ხელშეწყობა და კულტურული მრავალფეროვნების პოპულარიზაცია ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში

ამოცანის ინდიკატორთან მიმართებაში აღსანიშნავია, რომ დამტკიცდა განახლებული ეროვნული სასწავლო გეგმა საშუალო საფეხურისთვის და გადამუშავდა დაწყებითი საფეხურის

ეროვნული სასწავლო გეგმა. შედეგად კულტურული მრავალფეროვნების საკითხები ასახულია ეროვნულ სასწავლო გეგმაში.

განსაკუთრებული აქცენტი კეთდება დაწყებითი საფეხურის სახემძღვანელოებზე, კერძოდ, საკითხები გათვალისწინებულია შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა, მე და საზოგადოება, საგანი ,,ჩვენი საქართველო", ხელოვნება, ასევე საკითხები აისახება საბაზო საფეხურის სასკოლო ლიტერატურაშიც. საშუალო საფეხურზე კი საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებისას აქცენტი კეთდება გლობალური მოქალაქეობის იდეაზე.

სამოქმედო გეგმის ფარგლებში გაგრძელდება შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, რაც ხელს შეუწყობს კულტურული მრავალფეროვნების პოპულარიზაციას ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში.

აღნიშნული ამოცანით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესში სამოქმედო გეგმაში გაწერილი მოსალოდნელი რისკ ფაქტორი არ დამდგარა.

ამოცანა 5.1. მმართველობისა და თვითმმართველობის განხორციელების პროცესებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ჩართულობის ხელშეწყობა

რეგიონალურ და ადგილობრივ ჭრილში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ჩართულობის ხელშეწობის წარმატებით განხორციელების მიზნით ჩატარდა სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იყო არსებული პოლიტიკის ინსტრუმენტებისა და საკოსულტაციო მექანიზმების განვითარება/გაძლიერებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეთნიკური უმცირესობების პროპორციული და თანასწორი მონაწილეობის ეფექტიანი ხელშეწყობის გაუმჯობესებაზე. ძალისხმევა ასევე აქტიურად იყო მიმართული მოსახლეობის ინფორმირებასა და ცნობიერების ამაღლებაზე. დასახული ამოცანის ეფექტური განხორციელების კუთხით ჩატარდა ათეულობით საინფორმაციო შეხვედრა და ტრენინგი.

ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მონაწილეობის მხარდაჭერის მიზნით 2017 წლიდან ფუნქციონირებს ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონების სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციებთან შექმნილი საზოგადოებრივ-საკონსულტაციო საბჭოები, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ადგილობრივი თვითმმართველობების, სახალხო დამცველის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლები, თემის ლიდერები, აქტიური მოქალაქეები. აღნიშნული საბჭოების ფარგლებში საქმიანობა მიმდინარეობს ეთნიკური უმცირესობების პრობლემატიკასა და ინტეგრაციის საკითხებზე. საბჭოს სხდომები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა აქტიური მონაწილეობით რეგულარულად იმართება, მათ შორის სახელმწიფო მინისტრის აპარატის ჩართულობით. კომუნიკაციისა და კონსულტირების

აღნიშნული ფორმატი ხელს უწყობს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ჩართულობის გაუმჯობესებას ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

პარლამენტში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობა შეადგენს 3,5% (ეთნიკური კუთვნილება დადგენილია თვითიდენტიფიკაციის საფუძველზე). ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული მუნიციპალიტეტების საკრებულოებში ეთნიკურ უმცირესობათა ჩართულობა მაღალია და შეადგენს: ახალქალაქი - 35 (სულ 42 წევრი), ახალციხე - 5 (სულ 38), ნინოწმინდა - 29 (სულ 30), მარნეული - 20 (სულ 33), გარდაბანი - 16 (სულ 36), დმანისი - 10 (სულ 30), ბოლნისი - 15 (სულ 36), წალკა - 11 (სულ 30).

ასევე, აღსანიშნავია, რომ საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის საჯარო მოხელეთა ინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში გადამზადდა და პროფესიული უნარ-ჩვევები აიმაღლა თვითმმართველი ორგანოების 41-მა მოხელემ.

2024 წლის სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სამოქმედო გეგმის მიხედვით გათვალისწინებულია ტრენინგების ჩატარება ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული მუნიციპალიტეტების მერებთან არსებული სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოების წევრებისთვის შესაძლებლობების შემდგომი გაძლიერების მიზნით.

აღნიშნული ამოცანით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესში სამოქმედო გეგმაში გაწერილი მოსალოდნელი რისკ ფაქტორი არ დამდგარა.

ამოცანა 5.2. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის აქტიური და პასიური საარჩევნო უფლების ეფექტიანი რეალიზების მექანიზმების განვითარება

2023 წელს საერთო ეროვნული არჩევნები არ გამართულა. მიუხედავად ამისა, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის აქტიური და პასიური საარჩევნო უფლების ეფექტიანი რეალიზების ხელშეწყობის მიზნით, ცესკოს მიერ მომზადდა საინფორმაციო ვიდეორგოლები სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე კენჭისყრის დღის პროცედურებისა და ამომრჩევლისთვის შეთავაზებული სერვისების შესახებ. ასევე, ითარგმნა და გავრცელდა საარჩევნო დოკუმენტაცია და სხვა საინფორმაციო მასალები, მათ შორის, საარჩევნო კომისიის წევრებისთვის. 2023 წლის 29 აპრილის შუალედური/რიგგარეშე არჩევნებისთვის საარჩევნო ადმინისტრაციამ განახორციელა ინფორმირების კამპანია „ვესაუბრებით ამომრჩევლებს“. მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია გასამართი არჩევნებისა და დაგეგმილი ტექნოლოგიური სიახლეების შესახებ, გავრცელდა საინფორმაციო მასალები. ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ მუნიციპალიტეტებში გაგრძელდა საგანმანათლებლო პროგრამა „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი”.

ცესკომ და სწავლების ცენტრმა განახორციელეს საავტორო პროგრამა საარჩევნო სამართლის დარგში. სასწავლო პროგრამა მიზნად ისახავდა ახალგაზრდებში საარჩევნო კულტურის განმტკიცებასა და თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე დარგობრივი სპეციალისტების მომზადებას. პროგრამა განხორციელდა თბილისსა და 3 რეგიონში არსებულ 7 უნივერსიტეტში. სასწავლო კურსი გაიარა 454-მა სტუდენტმა, მათ შორის სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში – 80-მა სტუდენტმა.

2024 წლის საპარლამენტო არჩევნებსა და საარჩევნო ელექტრონულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებით საარჩევნო ადმინისტრაციის ინფორმირების ფართომასშტაბიანი კამპანიის ფარგლებში ქვემო ქართლის რეგიონში გაიმართა სამი საინფორმაციო აქცია. საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა ბოლნისში, მარნეულსა და დმანისში მოქალაქეებს საარჩევნო ელექტრონული ტექნოლოგიების უპირატესობებისა და მნიშვნელოვანი სიახლეების შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდეს. საარჩევნო ადმინისტრაცია აგრძელებს საარჩევნო ელექტრონულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებით ინფორმირების ფართომასშტაბიან კამპანიას, რომლის ფარგლებშიც საინფორმაციო აქციები ჩატარდება ეთნიკურ უმცირესობებით დასახლებულ სხვა რეგიონებშიც.

ამოცანა 6.1 ეთნიკური უმცირესობების ენებზე მედიაპროდუქტების ხარისხის გაუმჯობესება

ამოცანის **პირველ ინდიკატორთან** მიმართებაში, მედიასა და ინფორმაციაზე წვდომის გაუმჯობესების მიზნით საზოგადოებრივი მაუწყებელი ახდენდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების მშობლიურ ენაზე ინფორმირებას, ამავდროულად, მომზადებულ მასალას უზიარებდა რეგიონულ ტელევიზიებს. უწყვეტად ფუნქციონირებს შვიდ ენაზე მოქმედი ვებ-პორტალი - www.1tv.ge.
სახელმწიფოს დაფინანსებით ხელი შეეწყო არაქართულენოვან ბეჭდვით მედიას: 2023 წლის განმავლობაში რეგულარულად გამოიცემოდა სომხურენოვანი გაზეთი „ვრასტანი“ (51 ნომერი, 3500-მდე ტირაჟი) და აზერბაიჯანულენოვანი ყოველკვირეული გაზეთი „გურჯისტანი“ (50 ნომერი, ტირაჟი 2700 - მდე). გაზეთები გავრცელდა, როგორც თბილისსა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში, ასევე პენიტენციურ დაწესებულებებში.

მეორე ინდიკატორთან მიმართებაში, პასუხისმგებელი უწყება, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, უზრუნველყოფს პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთათვის სატელევიზიო არხების ხელმისაწვდომობას. პენიტენციურ დაწესებულებებში 22 სატელევიზიო არხის მაუწყებლობა ხორციელდება 6 უცხოურ ენაზე: რუსული, ინგლისური, თურქული, აზერბაიჯანული, სომხური და არაბული.

საანგარიშო პერიოდში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ მსჯავრდებულებისთვის ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით არაქართულენოვანი ბეჭდვითი მედიის სახით მიეწოდათ 800 გაზეთი (სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე).

პენიტენციურ დაწესებულებებში გაგრძელდება ეთნიკური უმცირესობების მშობლიურ ენებზე სამაუწყებლო არხებისა და მსჯავრდებულებისთვის არაქართულენოვანი ბეჭდვითი მედიის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ასევე, შეუფერხებლად განხორციელდება არაქართულენოვანი (სომხურენოვანი ,,ვრასტანი" და აზერბაიჯანულენოვანი ,,გურჯისტანი") ბეჭდვითი მედიის ფინანსური მხარდაჭერა.

ამოცანა 6.2 მედია წიგნიერების განვითარების მხარდაჭერა

ამოცანის **პირველ და მეორე ინდიკატორთან** მიმართებაში აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით გაიმართა ათზე მეტი საინფორმაციო შეხვედრა/ტრენინგი სხვადასხვა აქტუალურ საკითხთან დაკავშირებით, მათ შორის, ადამიანის უფლებების, ანტიდისკრიმინაციის, სამართლებრივი, სამოქალაქო-პოლიტიკური მონაწილეობის და სხვა თემატიკაზე. სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით დაიგეგმა და განხორციელდა შეხვედრებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო ტრენინგ-სემინარების ციკლი („ახალგაზრდები სამოქალაქო ინტეგრაციისთვის", „ქალთა მონაწილეობის გაძლიერება სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში"), მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების წარმომადგენელი ახალგაზრდებისა და ქალების მონაწილეობით. შეხვედრების ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საქართველოს ევროინტეგრაციის პრიორიტეტების, ევროპული პერსპექტივის რეალიზების მიზნით განხორციელებული და მიმდინარე რეფორმების და მიღწეული პროგრესის შესახებ ცნობიერების ამაღლებას; დეზინფორმაციასთან ბრძოლისა და მისი გავრცელების პრევენციის, მედიაწიგნიერების საკითხებს.

მედიაწიგნიერების მხარდაჭერის მიზნით დაგეგმილია სხვადასხვა აქტივობების განხორციელება. იგეგმება ტრენინგების, სემინარების განხორციელება ისეთი სამიზნე ჯგუფებისთვის, როგორიცაა რეგიონული მედიის წარმომადგენლები, ახალგაზრდები, ქალები.

ამოცანა 7.1 სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება ადამიანის უფლებების, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის პოლიტიკისა და ანტიდისკრიმინაციულ და გენდერული თანასწორობის საკითხებში

ამოცანის **პირველ ინდიკატორთან** მიმართებაში აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა რელევანტური უწყებების ჩართულობით შეინიშნება პოზიტიური ტენდენცია. კერძოდ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2023 წლის განმავლობაში გენდერული თანასწორობის თემაზე 33

საინფორმაციო შეხვედრა გამართა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის თბილისის, სამცხე-ჯავახეთის, გურიის, იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის, აჭარის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, კახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში, რომელსაც ესწრებოდა 1450-მდე მოქალაქე, მათ შორის, სამცხე-ჯავახეთის, კახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში ჩატარებულია 17 საინფორმაციო შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდა 900-მდე მოქალაქე.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით გაიმართა ტრენინგ-სემინარი თემაზე: „ქალთა მონაწილეობის გაძლიერება სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში“. ტრენინგი ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა და მასში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში (ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი და კახეთი) მცხოვრები ქალები - სამოქალაქო საზოგადოების, სახელმწიფო უწყებების, მუნიციპალური სერვისის “ქალთა ოთახი”-ს წარმომადგენლები და მუნიციპალიტეტებში გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები მონაწილეობდნენ.

ამოცანის **მეორე ინდიკატორთან** მიმართებაში აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით 2023 წლის მაისსა და ივნისის თვეში კახეთისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში გაიმართა სახელმწიფო პროგრამებისა და სერვისების შესახებ საინფორმაციო კამპანია. კამპანიის ფარგლებში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, იუსტიციის, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის, განათლებისა და მეცნიერების, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, ფინანსთა სამინისტროებისა და სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლებმა მოსახლეობას მიაწოდეს ინფორმაცია უწყებების კომპეტენციაში არსებული სიახლეების, სახელმწიფო პროგრამებისა და სერვისების შესახებ. კერძოდ, შეხვედრები გაიმართა კახეთის რეგიონის 6 მუნიციპალიტეტის (საგარეჯო, ყვარელი, ლაგოდეხი, დედოფლისწყარო, თელავი, ახმეტა) 30-მდე სოფლის მოსახლეობასთან და სამცხე-ჯავახეთის რეგიონის 4 მუნიციპალიტეტის (ახალქალაქი, ნინოწმინდა, ახალციხე, ასპინძა) 90-მდე სოფლის წარმომადგენლებთან.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლებისთვის 2023 წლის იანვრიდან დეკემბრის ჩათვლით ჩატარდა საბაზო საორიენტაციო პროგრამა "უნივერსალური ტრენინგ-მოდული", რომელიც მოიცავს პაციენტისთვის დისკრიმინაციის გარეშე მოპყრობას სამედიცინო დახმარების გაწევისას, ასევე, გენდერული და შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით თანასწორობის საკითხებს; სხვადასხვა ნიშნით (მათ შორის ეთნიკური და რელიგიური ნიშნით) სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ცნებას. მოცემული პროგრამის ფარგლებში ტრენინგები ჩატარდა 11 ჯგუფისთვის. სულ ჩართული იყო 170 მონაწილე. ასევე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ 250 ბენეფიციარის მონაწილეობით გაიმართა 16 შეხვედრა ტრეფიკინგის საკითხების შესახებ.

საანგარიშო პერიოდში, სსიპ ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრმა საქართველოს ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის შესახებ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების ინფორმირებისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით 61 ღონისძიება გამართა, 1500 მოქალაქის მონაწილეობით როგორც თბილისში, ასევე ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში (სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, კახეთი). საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრი სისტემატურად ახორციელებდა სხვადასხვა სახის საინფორმაციო კამპანიას, მათ შორის, საჯარო ლექციებს, სემინარებს, საინფორმაციო შეხვედრებს ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მნიშვნელობის, ნატო-საქართველოს შორის არსებული თანამშრომლობისა და სამომავლო პერსპექტივების, საქართველოსთვის ევროპული პერსპექტივის მონიჭებით გახსნილი შესაძლებლობების, ასოცირების შესახებ შეთანხმებისა, თავისუფალი ვაჭრობისა და ანტიდასავლურ პროპაგანდასა და მასთან ბრძოლის გზების შესახებ. შეხვედრების ძირითად სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენდნენ მასწავლებლები, მოსწავლეები, სტუდენტები, ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლები, მედია საშუალებები და ადგილობრივი მოსახლეობა.

დაგეგმილია ტრეფიკინგის რისკების, გენდერული თანასწორობისა და საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის შესახებ საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება. შეხვედრების სამიზნე აუდიტორია ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების, მუნიციპალური ცენტრებიდან დაშორებული სოფლების მოსახლეობა, ასევე ქალები და ახალგაზრდები იქნებიან.

ამოცანა 7. 2 მართლმსაჯულების სისტემისა და სამართალდამცავი ორგანოების მექანიზმებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, ხარისხიანი იურიდიული დახმარების უზრუნველყოფა

ამოცანის **ინდიკატორთან** მიმართებაში, რაც ითვალისწინებს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის ეროვნულ სასამართლოებსა და სამართალდამცავ ორგანოებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას, შეინიშნება პროგრესი. საანგარიშო პერიოდში ნათარგმნია და მაცნეს ვებგვერდზე განთავსებულია: აზერბაიჯანულ ენაზე - 19, სომხურ ენაზე 21 საკანონმდებლო აქტი.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ბრალდებულ/მსჯავრდებულთა ინფორმირება მათი უფლებების შესახებ პენიტენციურ დაწესებულებებში მიღება-განთავსების შემთხვევაში ხდება სათარჯიმნო მომსახურების გამოყენებით.
დაიბეჭდა ბროშურები ბრალდებულ/მსჯავრდებულთა უფლებების შესახებ (სულ 10760 ეგზემპლიარი ქართულ და 6 მოთხოვნად ენაზე: ქართული - 4800; რუსული - 1400; ინგლისური - 1300; თურქული - 1150; სპარსული - 480; სომხური - 480; აზერბაიჯანული - 1150), მათ შორის აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე: ბრალდებულთა უფლება-მოვალეობები; არასრულწლოვან

მსჯავრდებულთა უფლება მოვალეობები; სრულწლოვან ქალ მსჯავრდებულთა უფლება მოვალეობები; სრულწლოვან მსჯავრდებულთა უფლება მოვალეობები. ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში საინფორმაციო დაფებზე გამოკრულია ინფორმაცია ბროშურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით 7 ენაზე, ასევე ბროშურები განთავსებულია დაწესებულებების ბიბლიოთეკებში.

2023 წლის სექტემბრის თვეში დასრულდა მუშაობა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უფლება-მოვალეობების აუდიო ბროშურებზე, რომლებიც გამოიცა შვიდ ენაზე (ქართული, რუსული, ინგლისური, თურქული, აზერბაიჯანული, სპარსული და სომხური) CD-ის (კომპაქტ დისკი) სახით; მიმდინარეობს მათი გადანაწილება პენიტენციურ დაწესებულებებში.

2023 წელს ევროპის საბჭოს მხარდაჭერით დაიბეჭდა პენიტენციურ სისტემაში განთავსებული ბრალდებულ/მსჯავრდებულებისთვის რეაბილიტაცია-რესოციალიზაციისა და სამედიცინო მომსახურების შესახებ ბროშურები 6 ენაზე, ჯამში 9000 ბროშურა. აქედან: ქართული - 7200; ინგლისური - 720; თურქული - 270; სომხური - 90; აზერბაიჯანული - 180; რუსული - 540.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებით გადამზადდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული დანაყოფების 1714-მდე სამართალდამცავი.

სამომავლოდ მართლმსაჯულების სისტემასა და სამართალდამცავი ორგანოების მექანიზმებზე ეთნიკური უმცირესობების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით გაგრძელდება პროექტებისა და ღონისძიებების განხორციელება.

აღნიშნული ამოცანით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესში სამოქმედო გეგმაში გაწერილი მოსალოდნელი რისკ ფაქტორი არ დამდგარა.

ამოცანა 8.1 სახელმწიფო სოციალურ-ეკონომიკურ პროგრამებში ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის გაზრდა

არსებული სახელმწიფო სტრატეგიის პრიორიტეტის ფარგლებში სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის კუთხით განსაზღვრული და შედეგზე ორიენტირებული ამოცანები და მიზნები მიმართულია სხვადასხვა სახელმწიფო სოციალურ-ეკონომიკურ პროგრამებსა და სერვისებში ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობის გაზრდისაკენ, მათი მოტივაციის ამაღლებასა და უფრო ეფექტური ჩართულობისკენ, ასევე ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში არსებული ინფრასტრუქტურის განვითარებასა და სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერისკენ.

დამტკიცებული სამოქმედო გეგმის ფარგლებში, მოქმედი უწყებების მიერ დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელების მიზნით ჩატარდა სხვადასხვა სახის ღონისძიებები სახელმწიფო პროგრამებისა და სერვისების შესახებ ინფორმაციის გავრცელების, ცნობიერების ამაღლების, მეწარმეობის უნარების განვითარების კუთხით და სხვა.

სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ამოცანის პირველ ინდიკატორთან შესაბამისობაში საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების მოსახლეობის ინფორმირებას სხვადასხვა აქტუალურ საკითხთან მიმართებაში. სახელმწიფო პროგრამებზე, მომსახურებებსა და უფასო იურიდიულ დახმარებაზე წვდომის ხელშესაწყობად, სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით წარიმართა ფართომასშტაბიანი ორენოვანი საინფორმაციო/ცნობიერების ამაღლების კამპანია განათლების, სოფლის მეურნეობის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ეკონომიკური შესაძლებლობების, ასევე იურიდიული დახმარების საკითხებთან დაკავშირებით ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ 120-მდე სოფლის მოსახლეობისთვის (5000-მდე ბენეფიციარი).

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ საექსტენციო და საკონსულტაციო მომსახურეობა გაეწია 4 375 ფიზიკურ და იურიდიულ პირს, სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონებში; გაიმართა 286 შეხვედრა.

პროექტის "არავინ დარჩეს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის მიღმა" ფარგლებში განხორციელდა ტრენინგები და შეხვედრები სამცხე-ჯავახეთისა (ახალქალაქი, ახალციხე, ადიგენი, ასპინძა, ბორჯომი, ნინოწმინდა) და ქვემო ქართლის (რუსთავი, გარდაბანი, ბოლნისი, მარნეული, დმანისი, წალკა, თეთრიწყარო) 13 მუნიციპალიტეტში. განხორციელდა ტრენინგები საზოგადოებრივი ჯანდაცვის მუშაკებისა და სამედიცინო პერსონალის მონაწილეობით იმუნიზაციის, კომუნიკაციის, ვაქცინაციის მხარდაჭერის, თემის მობილიზაციის, ინფექციის პრევენციისა და რისკების კომუნიკაციის საკითხებზე. სულ ჩატარდა 33 ტრენინგი ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, მათ შორის 6 - ეთნიკური უმცირესობების ენებზე (3 - სომხურ და 3 აზერბაიჯანულ). ამასთან, გაიმართა 50 შეხვედრა ინფექციების პრევენციისა და ვაქცინაციის კომუნიკაციის მიზნობრივი საკომუნიკაციო და ცნობიერების ამაღლების საკითხებზე ადგილობრივ საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და პირველადი ჯანდაცვის პერსონალის ჩართულობით. თითოეულ შეხვედრას დაესწერო 25-45 მოქალაქე.
რეპროდუქციული ჯანმრთელობის და დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის საკითხებზე, 2023 წლის მაის - ივნისში გაიმართა ოთხი შეხვედრა ახალქალაქის, ახალციხის და მარნეულის მუნიციპალიტეტებში.

ამოცანის **მეორე ინდიკატორთან** მიმართებაში აღინიშნება მნიშვნელოვანი პროგრესი. ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ მუნიციპალიტეტებში საარსებო შემწეობისა და

სოციალური პაკეტის მიმღებთა რაოდენობის მაჩვენებელია: საარსებო შემწეობა - სამცხე-ჯავახეთი -3 149, ქვემო-ქართლი -19 397; პენსია - სამცხე-ჯავახეთი - 34 029, ქვემო ქართლი- 83 814; სოციალური პაკეტი: სამცხე-ჯავახეთი - 6 562, ქვემო ქართლი- 15 697.

რაც შეეხება **მესამე ინდიკატორის** შესრულებას, ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში აქტიური (მოქმედი) სტატუსის მქონე ბიზნეს სუბიექტების რაოდენობაა: სამცხე-ჯავახეთი - 10 152; ქვემო ქართლი - 18 651.

ამოცანის **მეოთხე ინდიკატორის** შესრულებაში აღსანიშნავია, რომ მოცემულ რეგიონებში საერთაშორისო და შიდა ვიზიტების ზრდა ფიქსირდება 2022 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით: ქვემო ქართლი +61.8% საერთაშორისო ვიზიტი; +17.3% შიდა ვიზიტი. (2023 წლის მონაცემები სრულად ხელმისაწვდომი იქნება 2024 წლის თებერვალი-მარტის განმავლობაში).

ამოცანის **მეხუთე ინდიკატორთან** მიმართებაში აღსანიშნავია, რომ გრძელდება მიკრო გრანტებით ბენეფიციართა დაფინანსება. 2023 წლისთვის კახეთში, სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში მიკრო გრანტების პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულია 1082 ბენეფიციარი.

პერმანენტულად გაგრძელდება შესაბამისი სახელმწიფო სერვისებისა და პროგრამების შესახებ ინფორმაციის გავრცელების არეალის გაფართოება. კერძოდ, ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში მოსახლეობასთან და ადგილობრივ ფერმერებთან გაიმართება სოფლის მეურნეობის პროგრამებისა და სერვისების შესახებ საექსტენციო-საკონსულტაციო და საინფორმაციო შეხვედრები, გაგრძელდება მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამების განხორციელების შესახებ უწყვეტი ინფორმაციის გავრცელება.

აღნიშნული ამოცანის **პირველ ინდიკატორთან** მიმართებაში, რაც უკავშირდება ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში გაზიფიცირებული მოსახლეობის მაჩვენებელს, შეიმჩნევა მნიშვნელოვანი პროგრესი. 2023 წელს დასრულდა 2022 წლის გეგმით გათვალისწინებული სამუშოები სამცხე-ჯავახეთის რეგიონის 2 დასახლებულ პუნქტში: აწყური და აგარა (ჯამში 651 პოტენციური აბონენტი). ამავე გეგმის ფარგლებში მიმდინარეობს სამშენებლო სამუშოები და შესრულების სხვადასხვა ეტაპზეა. სულ 2021-2023 წწ. განმავლობაში სამშენებლო სამუშოები დასრულდა 54 დასახლებულ პუნქტში (ჯამში 6896 პოტენციური აბონენტისათვის).

ამოცანის **მეორე ინდიკატორთან** მიმართებაში, რომელიც ითვალისწინებს ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო ინტერნეტიზაციის პროგრამის ფარგლებში ფართოზოლოვანი ინტერნეტ-საბითუმო ქსელებით დაფარული დასახლებული პუნქტების რაოდენობის მაჩვენებელს, პროგრესი ვერ იზომება, რადგანაც სახელმწიფო ინტერნეტიზაციის პროგრამის განხორციელება ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში იგეგმება 2024 წლიდან.

ამოცანის **მესამე ინდიკატორთან** მიმართებაში აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპზე ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში სასტუმროების რაოდენობის ზრდის მხრივ იკვეთება შემდეგი მდგომარეობა: რეგისტრირებული განთავსების ობიექტები შედარებული 2021 წელთან: ქვემო ქართლი +21.2% კახეთი +24.4% სამცხე- ჯავახეთი +19.9%.

ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის რეგიონების ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ მუნიციპალიტეტებში გაგრძელდა მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები: შიდა გზების, საირიგაციო და სასმელი წყლის სისტემების, გარეგანათების რეაბილიტაციის, სკვერებისა და გასართობი სივრცეების მოწყობა. სამოქმედო გეგმის ფარგლებში სამცხე-ჯავახეთის რეგიონში დასრულდა/მიმდინარეობს 75 მლნ. ლარის, ქვემო ქართლში - 350 მლნ. ლარის, ხოლო კახეთში - 65 მლნ. ლარის ღირებულების ინფრასტრუქტურული პროექტები.

ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით გაგრძელდება ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის გაზიფიცირება და ფართოზოლოვანი ინტერნეტ ქსელით დაფარვა. ასევე, საავტომობილო გზების/ხიდების, წყალმომარაგების ქსელის, სკოლებისა და საბავშვო ბაღების, კულტურული/ტურისტული/სარეკრეაციო ობიექტის მშენებლობა/რეაბილიტაცია.

ამოცანა 8.3 ქალებისა და ახალგაზრდების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერა (ახალგაზრდული პროგრამები, "1+4 სტაჟირება", ბიზნეს ინიციატივების მხარდაჭერა)

ამოცანის **პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე ინდიკატორებთან** მიმართებაში, რაც უკავშირდება ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში, მიკრო გრანტების ფარგლებში დაფინანსებული ახალგაზრდებისა და ქალების რაოდენობას, 2023 წლისთვის კახეთში, სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში მიკრო გრანტების პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულია 383 ახალგაზრდა. 2023 წლისთვის კახეთში, სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში მიკრო გრანტების პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულია 469 ქალი. 2023 წლისთვის კახეთში, სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში მიკრო გრანტების პროგრამის ფარგლებში ქალებზე გაცემულია 7984408.12 ლარი. 2023 წლისთვის კახეთში, სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში მიკრო გრანტების პროგრამის ფარგლებში ახალგაზრდებზე გაცემულია 6952600.77 ლარი.

ამოცანის **მეხუთე ინდიკატორთან** მიმართებაში ფიქსირდება მნიშვნელოვანი პროგრესი. წლის განმავლობაში ახალგაზრდებს რეგულარულად მიეწოდებოდათ ინფორმაცია სხვადასხვა სახელმწიფო სერვისების შესახებ, მათ შორის განათლების მიმართულებით არსებული

პროგრამებისა და შესაძლებლობების მიმართულებით (ე.წ. „1+4 საგანმანათლებლო პროგრამა“; „1+4 სტაჟირების პროგრამა“ და სხვა).

აქვე აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო მინისტრის აპარატმა, საქართველოს საჯარო სამსახურის ბიუროსთან თანამშრომლობით გამოაცხადა სტაჟირების პროგრამა „ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამით“ (“1+4 პროგრამა”) მოსარგებლე პირებისათვის. სტაჟირების პროგრამის მიზანია საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის საჯარო სამსახურის საქმიანობის სპეციფიკის გაცნობა, პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება და საბოლოო ჯამში, მათი ჩართულობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა. 2021-2023 წწ. პროგრამაში ჩართული იყო 90-მდე ბენეფიციარი.
საქართველოს მთავრობის განახლებული №177 დადგენილებით (2023 წლის 15 მაისი), რომელიც მოიცავს საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცებას, კიდევ უფრო დაზუსტდა საჯარო უწყებებში სტაჟირების გავლის პროცედურები, რამაც შესაბამისად, წარმოქმნა არსებული მექანიზმის სრულყოფის საჭიროება. ამავდროულად, სახელმწიფო მინისტრის აპარატი, როგორც სტაჟირების პროგრამის ხელმძღვანელი და მაკოორდინირებელი უწყება, პროგრამის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით რეგულარულად ახორციელებს სხვადასხვა სახის კვლევებისა და საჭიროებების ანალიზს, რომელზე დაყრდნობითაც განისაზღვრა დამატებითი მოთხოვნები, როგორც მიმღები უწყებებისთვის, ისე სტაჟიორებისთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, გასულ წელს დაიწყო და ფაქტობრივად დასრულების ფაზაშია პროგრამის შემდგომ სრულყოფაზე მუშაობა.

ქალების ეკონომიკური გაძლიერების მიზნით, სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივითა და ფინანსთა სამინისტროს აკადემიის მხარდაჭერით, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები კონფლიქტის შედეგად დაზარალებული და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალებისთვის ჩატარდა 1 ტრენინგი „მეწარმეობის პრაქტიკული კურსი - როგორ დავიწყოთ ბიზნესი“. სასწავლო კურსის მიზანი იყო მეწარმეობის შესახებ ქალების თეორიული ცოდნის ამაღლება და ბიზნესის წარმოების პრაქტიკული უნარების გაძლიერება. ჯამში ტრენინგში 12 მსმენელმა მიიღო მონაწილეობა.

ქალებისა და ახალგაზრდების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის მიმართულებით ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდების პოლიტიკურ სოციუმში, კერძოდ საჯარო სამსახურში ჩართვის მიზნით კიდევ უფრო განვითარდება და სხვადასხვა სახის ინოვაციების მეშვეობით გაფართოვდება „1+4 სტაჟირების პროგრამის“ არეალი და შესაძლებლობები, განახლდება საინფორმაციო/ცნობიერების ამაღლებაზე ორიენტირებული და სხვადასხვა სახის სახელმწიფო სერვისებისა და პროგრამებისა განხორციელება. გაგრძელდება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში, მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის განხორციელება, რის ფარგლებშიც ახალგაზრდებსა და ქალებს ტრენინგები ჩაუტარდებათ.

ამოცანა 8.4 ეთნიკური უმცირესობების, მათ შორის მცირე ეთნოსების პერსონალური მონაცემების დაცვისა და თვითიდენტიფიცირების საფუძველზე სტატისტიკური მონაცემების შეგროვების, ანალიზისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

ამოცანის ინდიკატორთან მიმართებაში აღსანიშნავია, რომ გრძელდება დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებით სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავება. 2023 წელს უწყებებს შორის ახალი მემორანდუმი გაფორმდა, სადაც უკვე სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მანდატიც გაიწერა. შინაგან საქმეთა სამინისტრო შეცვლილი ფორმატით გააგრძელებს მონაცემების გამოქვეყნებას. 2022 წლის სტატისტიკური მონაცემები, გამოქვეყნდა 2023 წლის 1 მარტს. შესაბამისად, 2023 წელს დისკრიმინაციული ნიშნით ეთნიკურ ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულების სტატისტიკა გამოქვეყნდება 2024 წლის მარტში საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ გვერდზე https://www.geostat.ge/ka/modules/categories/680/diskriminatsiis-nishnit-sheutsqnareblobis-motivit-chadenili-danashaulis-statistika, **www.geostat.ge.**

სამომავლოდ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო გააგრძელებს დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილ დანაშაულთა სტატისტიკის წარმოებას.

აღნიშნული ამოცანით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესში სამოქმედო გეგმაში გაწერილი მოსალოდნელი რისკ ფაქტორი არ დამდგარა.

ამოცანა 9.1 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

ამოცანის **პირველ ინდიკატორთან** მიმართებაში აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ორი ობიექტის (მეჩეთი) აღწერა და დაზუსტდა ორი ძეგლის (მეჩეთი) კოორდინატები, რაც განთავსდა ერთიან საინფორმაციო ბაზაში.

ამოცანის **მეორე ინდიკატორთან** მიმართებაში, მნიშვნელოვანი იყო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების თეატრების სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერა, კერძოდ: თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური დრამატული თეატრი, ჰეიდარ ალიევის სახელობის თბილისის აზერბაიჯანული სახელმწიფო დრამატული თეატრი, გრიბოედოვის სახელობის თბილისის რუსული დრამატული თეატრი – 1.952.000.00 ლარი დაფინანსდა. მუზეუმების (სსიპ მირზა-ფათალი ახუნდოვის სახელობის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმი; სსიპ სმირნოვების მუზეუმი; სსიპ დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორიის მუზეუმი) დაფინანსებამ წლის განმავლობაში შეადგინა 272.000.00 ლარი.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა თეატრებისა და მუზეუმების მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს შორისაა - 40-მდე გამოფენა; 25-მდე საგანმანათლებლო პროგრამა. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა თეატრები რეგულარულად წარმოადგენენ რეპერტუარში არსებულ სპექტაკლებს (ჯამში რეპერტუარში 30-მდე სპექტაკლი), დგამენ ახალ წარმოდგენებს, რომლებიც, ასევე, შედის რეპერტუარში (გამართული სპექტაკლის რაოდენობა -140-მდე; მაყურებელთა რაოდენობა - 22000-მდე).

საანგარიშო პერიოდში 2022 წელთან შედარებით ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების სახალხო დღესასწაულების აღნიშვნის კუთხით თვალსაჩინო პროგრესი შეიმჩნევა. ჯამში, ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის რეგიონებში ჩატარდა 285-მდე კულტურული ხასიათის ღონისძიება, 64 000-ზე მეტი ბენეფიციარის ჩართულობით; კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ განხორციელდა 15 მასშტაბური სახის კულტურული ღონისძიება.

კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, წარმოჩენასა და პოპულარიზაციაზე ორიენტირებული აქტივობების, მათ შორის თეატრებისა და მუზეუმების, მხარდაჭერა მომავალშიც გაგრძელდება.

ამოცანა 9.2 კულტურული მრავალფეროვნების შესახებ ცნობიერების ამაღლება და კულტურათაშორისი დიალოგის ხელშეწყობა (მულტიკულტურული და ინტერკულტურული აქტივობები, სახელოვნებო და სპორტული ღონისძიებები, ეთნიკური ფოლკლორის, ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების პოპულარიზაცია)

ამოცანის **პირველ და მეორე ინდიკატორებთან** მიმართებაში აღინიშნება პროგრესი. კულტურული მრავალფეროვნების შესახებ ინფორმირებისა და კულტურათაშორისი დიალოგის გაუმჯობესების თვალსაზრისით შესაბამისმა უწყებებმა განახორციელეს მნიშვნელოვანი აქტივობები. კერძოდ, მარნეულის მუნიციპალიტეტის ქ. მარნეულის „სამოქალაქო განათლების სკოლას“ გადაეცა 100-მდე წიგნი. ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ნახიდურის საჯარო სკოლას გადაეცა 100 წიგნი. ასევე აღსანიშნავია, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოჯორნის საშუალო სკოლაში წარდგენილ იქნა „ეროვნული ბიბლიოთეკის მრავალეროვანი ლექსიკონი: „პრობლემები და პერსპექტივები“; ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ დუისის სკოლას გადაეცა 1 პერსონალური კომპიუტერი და 100-მდე წიგნი.

კულტურათაშორისი დიალოგის ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა მასშტაბური ღონისძიებები, კერძოდ, ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის რეგიონებში ჩატარდა 285-მდე კულტურული ხასიათის ღონისძიება 64 000-ზე მეტი ბენეფიციარის ჩართულობით.

კახეთის რეგიონში კულტურული მრავალფეროვნების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩატარდა საინფორმაციო, კულტურულ-საგანმანათლებლო შეხვედრები, ლექციები, ტრენინგები, ფესტივალები, სახალხო დღესასწაულები და ა.შ. კულტურული მრავალფეროვნების მხარდაჭერისა და პოპულარიზაციის მიზნით სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, გაიმართა როგორც კომპლექსური, მასშტაბური, ასევე შედარებით მცირემასშტაბიანი ღონისძიებები, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები. აღინიშნა მნიშვნელოვანი თარიღები: დედაენის დღე, 26 მაისი, გაიმართა გამოფენები სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მიმართულებით, ფესტივალი ,,ფანტელი", თოვლის ფიგურების ფესტივალი ,,ზღაპრის გმირები თოვლში", კლასიკური მუსიკის საღამო, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების გამოფენები, სიმღერის ფესტივალი ,,სხვა საქართველო სად არის", მოეწყო მწერლებისა და პოეტების შემოქმედებითი საღამოები; ჩატარდა სომხურ-ქართული ლიტერატურული მეგობრობის საღამო, გაიმართა სპექტაკლები, კონკურსი ,,ჯავახეთის შემოდგომა" და შემოქმედებითი საოჯახო ნამუშევრების გამოფენა ,,ზამთრის ზღაპარი", მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზებით მოეწყო: ,,მუსიკალური საღამოები"და ,,საახალწლო ღონისძიებები". ქვემო ქართლის რეგიონში კულტურათაშორისი დიალოგის ხელშეწყობისა, მულტიკულტურული და სახელოვნებო მიმართულების განვითარების მიზნით აღინიშნა მრავალი კულტურული ღონისძიება მათ შორის, ნოვრუზ ბაირამი, დმანისობა", გომარეთობა", გარისობა ", „ქოსალარობა", საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ღვინის ფესტივალი, "საბაობა", "ბოლნისქალაქობა - 2023", ბოლნისის კლასიკური მუსიკის ფესტივალი და სხვა.

2024 წელს ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში გაგრძელდება ეთნიკურ უმცირესობათა სხვადასხვა სახალხო, კულტურული და რელიგიური დღესასწაულების აღნიშვნა, ასევე საქართველოს ტრადიციული დღესასწაულების, ლიტერატურული საღამოების და სპორტული აქტივობების მოწყობა. ფესტივალების, კამპანიების, გამოფენების, ახალგაზრდული ბანაკების გამართვა/მოწყობა, წიგნადი ფონდის შევსების მიზნით მუნიციპალიტეტების არაქართულენოვანი სკოლების დახმარება და ა.შ.

აღნიშნული ამოცანით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესში სამოქმედო გეგმით მოსალოდნელი რისკ ფაქტორი არ დამდგარა.

ამოცანა 9.3 მასობრივი ინტერკულტურული სპორტისა და მულტიკულტურალიზმის მხარდაჭერა და შესაბამისი სივრცეების/ინფრასტრუქტურის განვითარება

ამოცანის **ინდიკატორთან** მიმართებაში აღსანიშნავია, რომ ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში გაიმართა მრავალი სპორტული ხასიათის ღონისძიება, კერძოდ: სამცხე-ჯავახეთში გაიმართა - 140 სპორტული ღონისძიება, 8500-მდე ბენეფიციარის ჩართულობით; ქვემო ქართლში - 23 ღონისძიება, 6000 ბენეფიციარის მონაწილეობით,

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ საანგარიშო პერიოდში განახორციელა შემდეგი მასობრივი სპორტული ღონისძიებები: ქვემო ქართლის რეგიონში (5 მუნიციპალიტეტი) - 800-მდე სპორტული შეჯიბრი; სამცხე-ჯავახეთის რეგიონში (2 მუნიციპალიტეტი) – 250-მდე სპორტული შეჯიბრი; კახეთის რეგიონში (1 მუნიციპალიტეტი) – 90-მდე სპორტული შეჯიბრი.

სამომავლოდ გაგრძელდება ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში სხვადასხვა სახის სპორტული აქტივობების/შეჯიბრებების გამართვა, რომელშიც აქტიურად იქნებიან ჩართული ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები.

აღნიშნული ამოცანით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესში სამოქმედო გეგმაში გაწერილი მოსალოდნელი რისკ ფაქტორი არ დამდგარა.

გამოწვევები და რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული 2021-2030 წლების სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია ორიენტირებულია მოქალაქის ფუნდამენტური უფლებების დაცვასა და თანასწორუფლებიანი საზოგადოების მშენებლობის, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის მიმართულებით გრძელვადიანი და პოზიტიური ცვლილებებისა და ინოვაციების განხორციელების უზრუნველყოფის ხელშეწყობაზე.

სტრატეგია ეფუძნება საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების მიმართ ბოლო წლებში სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის კუთხით განხორციელებულ მრავალგანზომილებიან შეუქცევად პოლიტიკასა და განხორციელებულ აქტივობებს, შესაბამისად მიღწეულ შედეგებსა და დადებით დინამიკას.

ეთნიკური უმცირესობების ეფექტური ჩართვის გაზრდა/გაუმჯობესება საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში კვლავ რჩება მნიშვნელოვან გამოწვევად, რაც დიდწილად უკავშირდება ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო ენის არასათანადო ცოდნასა და შესაბამისად, ინფორმაციაზე არასრულ წვდომას. აღნიშნული მიმართულებით წარმოდგენილი რეკომენდაციები მოიცავს სახელმწიფო ენის სწავლების გაძლიერების საჭიროებას სხვადასხვა მექანიზმების ეფექტიანი განხორციელების გზით, ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული მუნიციპალიტეტების დონეზე ქართული ენის პოპულარიზაციასა და მისი ცოდნის აუცილებლობის უფრო მასშტაბურად წარმოჩენას. ასევე, მნიშვნელოვანია სხვადასხვა პროგრამების მასშტაბების გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით უფრო ეფექტური ინტერვენციების გამოყენება, რაც მრავალ

ფაქტორთან არის დაკავშირებული (პროგრამები, რესურსები, პედაგოგები, გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა და სხვა).

ამასთანავე, ჯერ კიდევ გამოწვევად რჩება ხარისხიან განათლებაზე ჯეროვანი ხელმისაწვდომობა, რაც ითვალისწინებს სასწავლო მასალების გაუმჯობესების, პედაგოგ-მასწავლებლების გადამზადების, დანერგილი ინოვაციური ბილინგვური მოდელი დახვეწისა და განვითარების საჭიროებას, ასევე სკოლამდელ და დაწყებით საფეხურზე ინტეგრაციის გაძლიერებას, ტრანზიციის უფრო ეფექტიანი მექანიზმების შექმნას და სხვა.

განსაკუთრებული ყურადღებისა და ზრუნვის საგნად რჩება საბავშვო ბაღებსა და სხვა სკოლამდელ დაწესებულებებში სახელმწიფო ენის სწავლების მიმართულებით სხვადასხვა სახის ინოვაციური პროგრამებისა და მეთოდების დანერგვა, განათლებისა და აღზრდის კომპონენტში არსებული სერვისების კიდევ უფრო გაუმჯობესება, მოზარდების ჩართულობა და მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა.

იკვეთება სასწავლო და მეთოდური მასალების შექმნისა და ეთნიკურ უმცირესობათა მშობლიურ ენებზე თარგმნის, სკოლამდელი განათლების აღმზრდელ-მასწავლებლების მომზადება-გადამზადების უფრო მაღალი ხარისხში აყვანის საჭიროება და ტემპის დაჩქარება; ასევე, ზრუნვა მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მშობლიური ენების (ოსური, ჩეჩნური, ხუნძური, უდიური, ასურული) შემსწავლელი შესაბამისი გრიფირებული სახელმძღვანელოების შექმნასთან დაკავშირებით.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის თანასწორი, თანაბარუფლებიანი და მოქალაქის ღირსების დაცვაზე ორიენტირებული სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის მხარდაჭერა, უწყებათაშორისი, ადგილობრივი და რეგიონალური თანამშრომლობის განხორციელების ხელშეწყობა, აქტიური და პასიური საარჩევნო უფლების ეფექტიანი რეალიზების მექანიზმების განვითარება, ხარისხიანი იურიდიული დახმარების უზრუნველყოფა, საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, ინკლუზიური სწავლების დონის ამაღლება და მედიაწიგნიერების განვითარება, მრავალი სხვა ეფექტური და მიზნობრივი საქმიანობა მნიშვნელოვანწილად განპირობებულია სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და ჯერ კიდევ არსებული გამოწვევებისა და მოქალაქეთა საჭიროებაზე დროულ და ადეკვატურ რეაგირებასა და გადაწყვეტის მექანიზმების შემუშავებაზე, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებას.

კულტურათაშორისი დიალოგის გასაძლიერებლად იკვეთება ეთნიკური უმცირესობებისა და უმრავლესობის წარმომადგენლების მრავალფეროვან აქტივობებში ერთობლივი ჩართვის აუცილებლობა ერთმანეთის კულტურის გაცნობისა და ხელოვნების გაზიარების მიზნით. ასევე, ყურადღებას საჭიროებს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების

რეაბილიტაციის/რესტავრაციის საკითხი; სხვადასხვა კულტურული ტრადიციების (მაგ.: ხალიჩების ქსოვა) შენარჩუნებისა და განვითარების მიზნით არსებული ბაზების მატერიალური ტექნიკით აღჭურვა. იკვეთება მრავალფეროვანი კულტურის მართვის საკითხებზე, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ მუნიციპალიტეტებში სახელმძღვანელო პრინციპების შექმნის საჭიროება. მნიშვნელოვანია თანამედროვე კულტურის მხარდაჭერა და ამ კულტურის წარმომადგენლების სხვადასხვა დისკუსიებში ჩართვა.